ᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲛᲝᲠᲬᲚᲔᲑᲘ!

ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ, № 4. ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ
ᲡᲐᲐᲠᲮᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ 14—16. ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ 79

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲦᲘᲦᲐᲮ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲓᲘᲚᲘᲡ 10-ᲓᲔ 1 Ს.
ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1921 Წ.

№ 102 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ. ᲠᲔᲕ.-ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ. № 102

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ს. ა. კ. კ. ც. კ. აუწყებს ს. ა. კ. კ.-რის ყველა ორგანიზაციებს, რომ ა. წ. 20 აგვისტოს მოწვეულ იქნება საქართველოს ა. კ. კ.-რის ყრილობა დღის წესრიგი: 1. მიმდინარე მომენტი. 2. მოხსენება ახალგაზრდათა ინტერნაციონალის 2 ე კონგრესის შესახებ. 3. ც. კ.-ის მოხსენება. 4. საორგანიზაციო აღმშენებლობის მორიგი ამოცანები. 5. სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობა. 6. რ. ა. კ. კ. მე 4-ე ყრილობა. 7. სასექციო მუშაობა. 8. ც. კ.-ას. არჩევნები.

ს. ა. კ. კ. ც. კ.

კვირას, 10 ივლისს დილის 10 საათზე არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება შრომის დაცვის კომისიის და საქარხნო კომიტეტების კონფერენცია.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ:

1) საავადმყოფო კასის გამგეობის მოხსენება
2) მოხსენება შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის შესახებ.
3) საავადმყოფო კასის გამგეობის არჩევნები.

ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ და მანდატები თან იქონიონ

ს ქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ

ᲔᲥᲕᲡ გარეშეა ის, რომ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა ყველა ჩვენს ძალებს, როგორც პარტიას ისე სახელმწიფოს დაუყონებლივ მოქმედებისკენ მიუწოდებს.

ხალხს, მშრომელ ხალხს მივეშველოთ სურსათით, სანოვაგით, სამოსით! აი ჩვენი სადღეისო ლოზუნგი..

ეს ერთი მხრით.

მაგრამ მეორე მხრით თვით ამ ლოზუნგის გატარება და ხალხის შველაც მხოლოთ მაშინ შეიძლება, როცა საქმეში თვით ხალხია აქტიურათ ჩაბმული, როცა მასების თვითმოქმედება უმაღლეს წერტილამდეა აყვანილი.

ამას კი სჭირდება შესაფერი ორგანოები, სახალხო საბჭოები, რომელთა შედგენა და მოწყობა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით.

საბჭოები საბჭოთა რესპუბლიკაში საათავეა ყოველგვარი შემოქმედების, ის წყაროა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა, რომელსაც მიზნათ ისახავს მუშურ გლეხური მთავრობა.

მაგრამ ეს საბჭოები მაშინ არის მომქმედ ნაყოფიერი, მაშინ ედება ის მკვიდრ საფუძვლათ რესპუბლიკას, როცა მასში ძლიერია და მრავალი პარტიული ელემენტი პარტიის წევრი, კომუნისტი, აი ვინ ჰქმნის, როგორც საბჭოების ძლიერებას, ისე რესპუბლიკისას.

აქედან გამოდის, რომ წყარო და სათავე, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა ის ძლიერი ნაკადები, რომლებიდანაც შენდება მთელი საბჭოთა სისტემა, მთელი ახალი წყობილება, არის **პარტია, პარტია კომუნისტური** და არა სხვა რომელიმე.

თუ ჩვენ სუსტი ვართ სახელმწიფოებრივ ასპარეზზე, თუ ჩვენი დაწესებულებები სუსტათ და არეულათ, უწესრიგოთ მუშაობენ, თუ ჩვენი სასურსათო და სამეურნეო აპარატები ენერგიულათ და ეწყობრათ, მიზან-შეწონილათ ვერ მოქმედებენ, ყველა ამეების მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სუსტნი ვართ პარტიულათ.

ვითომ და ჩვენი თანამგრძნობ-თანამშრომელი ჯგუფები გვითითებენ იმ გარემოებაზე, რომელზედაც ჩვენ თითონ ზემოთ ვუთითებთ. სახელდობრ იმაზე, რომ საქართველოში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები დროზე შედგეს. შედგეს რაც შეიძლება დაჩქარებით საბჭოები და რესპუბლიკაში ყველაფერი მოეწყობაო, ამბობენ ისინი.

ცხადია და ეს მით უფრო ჩვენთვის, ვიდრე სხვისთვის, რომ საბჭოები ჩაუყრიან საფუძველს რესპუბლიკის მკვიდრ წყობილებას. მაგრამ კითხვა იმაშია, თუ რა ხასიათის და რა ფერის იქნება ეს წყობილება. რა თქმა უნდა, იმ ფერის და იმ ხასიათის, რომელიც ის, რა შედგენილობისაც იქნება ეს საბჭოები.

მაშასადამე საქმე იმაში როდია, რომ საბჭოები როგორიც უნდა იყვნენ ისინი, შედგენ, რაც შეიძლება დაჩქარებით, არამედ იმაში, რომ ეს მომავალი საბჭოები იყვნენ ზედმიწევნით გამტარებელი პროლეტარული დიქტატურისა და მსოფლიო მუშათა კლასის იდეალის კომუნიზმის—თანდათან განმახორციელებელნი.

საბჭოები არა მარტო მშრომელი ხალხის თვითმპყრობელობის გამომხატველია, არამედ ის კომუნიზმის დამამყარებელიც არის, ვინაიდან მუშათა კლასს, რომლის სრულ გამომხატველიც ეს საბჭოებია, სხვა წყობილების შექმნა არ შეუძლია თუ არა მხოლოთ კომუნისტურისა.

კომუნისტური წყობილება, აი ის საზოგადოებრივი იდეალი, საითკენაც მილტვის საბჭოთა რესპუბლიკა.

და თუ საბჭოთა რესპუბლიკას, ყოველ მის დაწესებულებას გუშაკთ და მესვეურათ არ ჰყავს თავისი მმართველი პარტია, აშკარაა ის თავის გზას აცდება და ისტორიის უკუსვლის ორწოხში გადაიჩეხება.

ეს რომ არ მოხდეს, დღესვე საჭიროა უპირველესათ ყოვლისა კომუნისტური პარტიის საქართველოში გამაგრება, გაძლიერება და განმტკიცება.

რა ზომებს უნდა მივმართოთ ამისთვის? ჩვენ იმითი ვართ უკეთეს პირობებში ისტორიულათ, რომ დღეს საკუთარი ძალონით წინსვლის და წარმატების ახალი მეთოდების, ახალი ზომების, ახალი პოლიტიკის ძიება არ გვეჭრდება. ყოველივე ამას ჩვენ ეზამეზარეულათ გვაძლევენ რუსეთის დიდი რევოლუციის დიადი მაგალითი გაკვეთილები.

და აი ამ მხრით თუ შევხედავთ იქ განვლილ გაკვეთილებს, დავინახავთ, რომ პარტია ძლიერდებოდა და ფრთებს ისხამდა, წინ მედგარ ნაბიჯებს დგამდა ყოველ საერთო ყრილობების შემდეგ. პარტიის და საერთოთ მთელი რესპუბლიკის გზის მჩვენებელი, წინამძღოლი და ხელმძღვანელიც ეს პარტიული საერთო ყრილობებია.

ჩვენ კი ჩვენდა სავალალოთ დღემდე ასეთი ყრილობა ვერ მოგვიწყვია.

ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოში ამის მაგიერობა თვითონ რუსეთის კომუნისტურ პარტიის ყრილობამ შეასრულოს.

მართალია ის საფუძველია, რომელზედაც უნდა აეგოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობის მუშაობა მაგრამ ჩვენში, ლენინის თქმისა არ იყოს იმდენი განსაკუთრებულ თავისებური პირობებია, რომ მათი გათვალისწინება, აწონდაწონვა და მათდა შესაფერათ სამოქმედო გეგმის შემუშავება აუცილებლათ გვჭირდება.

ამნაირათ ჩვენ, საქართველოს კომუნისტები მთელი ჩვენი ძალონით და თავდადებით დღესვე ჩაბმულნი ყველა იმ საქმეებში, რომლებიც ოდნავ მაინც შეამუშუქებენ ეკონომიურ კრიზისს და სასურსათო გასაჭირს, უნდა შევეცადნეთ დავძლიოთ ყველა ის დაბრკოლებანი, რომლებიც კი წინ ეღობებიან საერთო პარტიული ყრილობის მოწვევას საქმეს.

ამით განვამტკიცებთ და გავაძლიერებთ პარტიას, ამით შევქმნით საუკეთესო ნიადაგს, რომელზედაც უნდა შედგენ საქართველოს მომავალი საბჭოები და ამითვე დავძლევთ საბოლოოთ იმ საბედისწერო ეკონომიურ გასაჭირს, რომლის სიმძიმის ქვეშ დღეს მშრომელი ხალხი გმინავს.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

უცხოეთის ყველა ბაზარზე საქონლის გამოცვლისათვის გეგმაშეორგანიზაციის მოსაწყობათ და [illegible] საექსპორტო ფონდების

ბისას, რომელსაც ეწოდება „საქართველოს, ადერბაიჯანის და სომხეთის **საგარეო ვაჭრობის** კავშირი“ დაარსებული ქ. თბილისში.

2. გაერთიანებულ გარე ვაჭრობას ეძლევა: ა) განსაკუთრებული უფლება გაუდოს უცხოეთის ბაზარზე საექსპორტო საქონელი, რომელიც შეადგენს საექსპორტო ფონდს შეთანხმებულ რესპუბლიკებისა. ბ) შეიძინოს განსაკუთრებული უფლება ყიდვისა შეთანხმებულ-შეერთებულ რესპუბლიკებისათვის ყველა მათი დაწესებულებათა და მრეწველობათა საჭიროებათათვის.

3. გაერთიანებულ გარეგვაჭრობას აქვს საერთო საგალიუტო ფონდი და მას ეძლევა განსაკუთრებული უფლება შეიძინოს უცხოეთის ვალიუტა შეთანხმებულ რესპუბლიკების საჭიროებისათვის.

4. თითეულის, ხელშეკრულებაში შესული რესპუბლიკის საექსპორტო ფონდი შედის საერთო ფონდში, ხოლო შეძენილი უცხოეთის ბაზარზე საქონელი არსებული ხელშეკრულობის მე 8 და მე-9 პუნქტის თანახმათ განაწილდება.

5. კავშირის ყველა საქმეთა გამგებლობისა და ხელმძღვანელობისათვის ინიშნება ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება სამ შეთანხმებულ რესპუბლიკის მთავრობების წარმომადგენელთა განსაკუთრებულ დადგენილებით.

6. დროებით, სანამ მოეწყობოდეს ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლესი ეკონომიური საბჭო, ყველა ის საჭიროებანი, რომელიც საქონლის შემოტანის საიმპორტო გეგმის შესრულებას შეადგენს, სრულდება ხხოლოდ შეთანხმებულ რესპუბლიკების გარე ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შემოტანილ განცხადებათა მიხედვით, რომლებიც ერთურთთან შეთანხმებული უნდა იქნას გაერთიანებულ გარევ ჭრობის მიერ.

7. შეთანხმებულ რესპუბლიკების ტერიტორიის ამიერ-კავკასიის რკ. გზათა შეერთებულ მართველობას და აზერბაიჯანის ნავთ-სადენის კომიტეტს უფლება აქვთ უშუალოთ განაცხადონ გაერთიანებულ გარევაჭრობაში, რომ შეთანხმებულ რესპუბლიკათა საერთო საიმპორტო გეგმაში შეტანილ იქნას მათი განცხადება, მასთან ისე, რომ ნავთის მრეწველობის განცხადება სრულდებოდეს პირველ რიგში.

8. ყოველდღიურ ფართო მოთხოვნილების საგნებისა და სურსათის შესყიდვის შემდეგ ასეთები განაწილდება შეთანხმებულ რესპუბლიკებ შორის პროპორციულად, გარევაჭრობის მიერ დამტკიცებულ მათ განცხადებათა მიხედვით.

9. ტეხნიკური ხელსაწყო, იარაღები და საწარმოო საშუალებანი შესყიდულ და განაწილებულ უნდა იქნას წარმოებათა დარტყმითი მნიშვნელობის და გვარათ.

10. შეთანხმებულ რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის კომისარიატებს ევალებათ: ა) სწორი გამოერკვევა აღნიშნულ რესპუბლიკების საექსპორტო ფონდისა, მისი კონტინგენტიზაცია და სტანდერტიზაცია, შენახვა და გადაზიდვა-გადმოზიდვა გაერთიანებულ გარევაჭრობის ჩვენებით.

ბ) თავ თავიანთ დაწესებულების და წარმოებათა მოთხოვილების სწორი აღრიცხვა შეთანხმებულ რესპუბლიკების საერთო საიმპორტო გეგმის შესადგენათ.

გ) გადაცემა გაერთიანებულ გარე ვაჭრობის საექსპორტო ფონდისა და მიღება საიმპორტო ფონდისა.

11) რამდენათაც გაერთიანებულ გარე ვაჭრობას წარმომადგენლობა ეყოლება უცხო სახელმწიფოში, ისე თითოეულ ასეთს წარმომადგენელს მიეცემა მანდატი შეთანხმებულ რესპუბლიკებისაგან.

———

საგარეო ვაჭრობისათვის.

საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საგარეო ვაჭრობის კავშირმა მიმართა სომხეთის ს. ს. რ. საგარეო საქმეთა კომისარს ამხ. ბეკზადიანს, აზერბაიჯანის ს. ს. ს. რ. ამხ. აღიევს და საქართველოს ს. ს. რ. ამხ. მდივანს შემდეგი განცხადებით: „მიიღო რა ხელდველობაში საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სოციალისტურ რესპუბლიკის გაერთიანება საგარეო ვაჭრობის სფეროში, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიამ ა. წ. იენისის 24-ს [illegible]

ერთგვარი ზომები, რომელნიც მოსპობენ საგარეო კანონმდებლობაში სიჭელეს და საშუალებას მისცემენ უფრო მიზანშეწონილად მოეწყოს საქონლის გაზიდვა და შემოზიდვა აღნიშნულ რესპუბლიკებში. ზევით ნაჩვენების გამო გაერთიანებულ საგ. ვაჭ. კოლეგია გთხოვთ თქვენ მიიღოთ ზომები საერთო საბაჟო პოლიტიკის გამომუშავებისათვის და ყველა მასალები ამ საკითხის შესახებ გამოგზავნონ გაერთიანებულ საგ. ვაჭ. კომ-ში, შესაძლებელ შეთანხმებისათვის, რადგანაც ამ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებულ საგ ვაჭ. კომისარიატის გეგმაშეწონილ მუშაობისათვის. გთხოვთ ამ მუშაობის შესასრულებლად მიიღოთ საჩქარო ზომები.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲒᲠᲣᲙᲐᲕᲠᲝᲡᲢᲐᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

ᲑᲐᲗᲝᲛᲘ. 26 ივლისი. (დეპეშა) 2 ივნისს ჩაქვაში შეკრიბეს 7,933 გირვანქა ჩაის ფოთოლი, იყიდეს 687 გირვანქა ჩაი.

ოსმალეთიდან მოვიდა 8 ფელიუგა 2 მოტორი დატვირთული ფქვილით, მანუფაქტურით, ბაჭრით და ყავით, ანატოლიის ნავთსადგურებისაკენ წავიდენ: 1 მოტორი დატვირთული ნავთით და გემი „ფრანც ფერდინანდი.“

ᲑᲔᲨᲢᲐᲨᲘ. 26 ივნისი (დეპეშა). 19 ივნისს მომბდარ წყალდიდობამ წალიკა სოფელი აშკადი. შენობების ერთი ნაწილი წყალმა წაიღო. სულ მეორე ნაწილი კი საცხოვრებლათ ვერ ვარგა. 100 ოჯახობა დარჩა უბინათ. მიღებულია ზომები მათ დასაბინავებლათ. ზარალს იკვლევენ.

ᲙᲝᲯᲝᲠᲘ. 25 ივნისი (დეპეშა). ივნისის 25 კოჯორში გაიმართა მორიგი შაბათობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს, როგორც კომპარტიის წევრებმა ისე უპარტიოებმა, რიცხვით 30 კაცმა. წესრიგში მოიყვანეს ბავშვთა თავშესაფარისათვის სუმბათაშვილის აგარაკი, რომელიც კოჯორის საუკეთესო აგარაკ თაგანია. შაბათობაში მონაწილეთა ერთმა ნაწილმა რევკომის შენობაში გადაზიდა და წესიერებაში მოიყვანა ბიბლიოთეკა.

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 4 ივლისი. (რადიო) (დასაწყისი არ არის მიღებული) პროფკავშირების ინტერნაციონალმა უნდა აწარმოოს ბრძოლა არა მარტო ბურჟუაზიასთან, არამედ მის მაჩანჩალასთანაც—ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალთან, რომლის წარმომადგენლებმა ომის დროს გასცეს მუშათა კლასი, თანამშრომლობდნენ ბურჟუაზიასთან და თითქმის მონაწილეობასაც კი ღებულობდნენ იმპერიალისტურ ხალხთა ლიგაში. მუშათა კლასმა აუცილებლად უნდა შექმნას ყველა ქვეყნების მუშათა ერთიანი რევოლუციონური ფრონტი მსოფლიო კაპიტალისტურ შეკავშირების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ერთიანი რევოლუციონური ფრონტი იქნება შექმნილი პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით.

რუსეთის პროფკავშირების მისალმება.

ამხ. რიკოვი ლაპარაკობს: „რუსეთის ჰროლეტარიატმა, რათა მას საშუალება მიეცეს გაძლიერდეს თავისი რევოლიუციონური ბრძოლით მონაპოვარი და შექმნას მტკიცე სამეურნეო საფუძველი რევოლუციონურ აღმშენებლობისათვის, აუცილებლად უნდა მიიღოს დახმარება მსოფლიო პროლეტარიატისგან. ამდენხანს ჩვენი სისუსტე იყო სისუსტე ევროპის პროლეტარიატის მოძრაობისა. ჩვენი საერთო ძალა იქნება რუსეთის და საერთაშორისო მოძრაობის ერთობაში. დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის დახმარებამ მოგვცა საშუალება დაგვეძლია საბჭოთა რუსეთის ეკონომიური ბლოკადა. ეხლა ჩვენ უნდა დავძლიოთ საერთო ძალით მსოფლიო კაპიტალის ბლოკადა, რომლის ისარი მიმართულია მთელი ქვეყნის მუშათა კლასის წინააღმდეგ. წინააღმდეგ ვიწროცეხობრივობისა და შემთანხმებელ ყვითელ ამსტერდამისა წითელმა პროფესიონალურმა მოძრაობამ უნდა წამოაყენოს მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლის იდეა მშრომელთა სრულ განსათავისუფლებლად.

გერმანელი მუშები პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალის მომხრენი არიან.

ამ კონგრესს, ამბობს დელეგატი გერმანიის, ავსტრო-ჰუნგრეთის და შვეიცარიის პროფესიონალურ კავშირების სახელით, ეს წარმოებიან არა წარილ ბურჟუაზიულ კავშირების შემთანხმებელი დელეგატები, არამედ ნამდვილი მუშათა კავშირების, ფაბრიკების და ქარხნების წარმომადგენელნი. გერმანიის მუშათა ორგანიზაციები ერთი მეორეზე გადადიან ეხლა პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალში.

ისპანიის ბურჟუაზიის სიმხეცის წინააღმდეგ პროტესტი.

ისპანიის შრომის კონფედერაციის სახელით კითხულობს მოწოდებას, სადაც ნათქვამია: ისპანიის მუშათა კავშირები დახურულია და იძულებული არიან იმოქმედონ არალეგალურად. კრებებიდან მუშებს, ერეკებიან. მუშათა გაზეთები იხურება. ისპანიის მუშათა კლასის საუკეთესო მებრძოლთ ქუჩაში ჩასაფრებული ბურჟუაზიის დამქაშები ვერაგულად სიცოცხლეს უსპობენ, უკეთეს შეთხვევაში ატუსაღებენ და ასახლებენ შორეულ ქვეყნებში.

კონგრესი ერთსულოვნად 11 მილ. მუშათა სახელით აცხადებს პროტესტს ისპანიის ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ და უგზავნის გამანხვევებელ სიტყვას ტანჯულ და მებრძოლ ისპანიის მუშებს.

კონგრესის დღიურ რიგის შესახებ კამათის დასრულების შემდეგ პირველი სხდომა იხურება ინტერნაციონალის სხვა და სხვა ენებზე შესრულებით.

დღიური რიგი.

კონგრესის დღის რიგშია: 1) საერთაშორისო საბჭის პროფკავშირების მოხსენება (მოსხენებელი ამხ. ომანერი), 2) მსოფლიო ეკონომიური კრიზისი და პროფკავშირების ამოცანები და ტაქტიკა (მომხსენებელი ამხ ბუხარინი და ლოზოვსკი), 3) პროფ. კავშირები ტ პარტიები, კავშირების წითელი ინტერნაციონალი და კომინტერნი (ანხან გები ზ ნოვიევი და ომანერი), 4) პროფ. კავშირები, ფაბრიკა საქარხნო კომიტეტები და ფაბრიკის ბამასახლისები (ამხ. მეკვერი), 5) პროფ. კავშირები და მუშათა კონტროლი წარმოებაზე (ამხ. ციპროვიჩი), 7) საერთაშორისო პროფ. წარმოებითი გაერთიანება, 8) საორგანიზაციო საკითხი (ამხ. ლოზოვსკი). 9 ქალი და წარმოებითი კავშირები, 10 არჩევნები.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲨᲐᲒᲐᲗᲝᲒᲐ.

არავინ არ იცის, თუ რატომ არის, რომ პური საშინლათ გძვირდა და ფული კი საოცრად გაიაფდა.

მე გადავსწყვიტე გამოერკვია ამის მიზეზი. არ წავედი ერთ შაფათობაზე რკინის გზის პარკში ვაგონებში მცხოვრებლების მიერ დაგროვილ სიბინძურის დასახვეტათ. გავაცხადე შაფათობის მომწყობ ბიუროში, რომ ეს დრო სამეცნიერო გამოკვლევას უნდა მოვახმარო მეთქი. არ სურდათ ამის ნება მიეცათ, მაგრამ როგორც იყო დავიყაბულე.

შაფათობაზე წასულები ჯერ კიდევ მისული არ იქნებოდენ პარკში, რომ მე უკვე გამოვიკვლიე პურის სიძვირის მიზეზი.

საქმე შემდეგშია: პური თურმე მოდის მ წაზე; საჭირო ყოფილა ამ მიწის დახვნა, სათესური ხორბლის მოთესვა, დაფარცხვა, შემდეგ წვიმა, თუ წვიმა არ მოდის თავის დროზე—ხელოვნურათ მოარწყვა; შემდეგ, როდესაც პური გაიზდება, თავთავს გამოისხამს და დამწიფდება, საჭიროა მომკა, გალეწვა, ხორბლის გარეკვა, გაშრობა, დაფქვევა და ამ ფქვილისგან პურის გამოცხობა.

როგორც ხედავთ—პროცედურა მეტათ გრძელია და ყველა ამას ჯანაღი, შრომის უნარმქონე ადამიანები, ქალი და კაცი უნდა ასრულებდენ. ეს ცოტა მძიმე სამუშაოვარია და თან უსუფთაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან არავის არ სურს ამ მძიმე საქმეს მოჰკიდოს ხელი, ამიტომ უმეტესი ნაწილი მიწებისა რჩება დაუხვნელ-დაუთესავი, რის გამო პური ცოტა მოდის, ხოლო რაც მოდის მას მეტის მეტათ ბევრი ხახა დაღებული შესცქერის—რომ ის ჩამოვარდება პირში ლუკმაო. ყოველივე ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ პური საშინლათ გაძვირდეს? გასაკვირველი მხოლოთ ის არის, რომ მისი შოვნა კიდევ შეიძლება ოგერეგერ!..

* * *

ფულის გაიაფების შესახებაც დიდი შრომა არ დაჭირებია შაფათობაზე წასულებს ჯერ კიდევ ცოცხი არ ეჭნებოდათ ხელში აღებული, რომ მე ეს საკითხიც გავარკვე.

ჩვენში ყოფილა დაგროვილი წინეთ ბევრი თეთრი ქაღალდი. იგზავნებოდა ის რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან იმ მიზნით, რომ დაბეჭდილი ყოფილიყო წიგნები, გაზეთები, რეფერატები და სხვა სამოსწავლო ნივთები. მაგრამ ვინაიდან მაშინ სწავლა დაბალი იყო ჩვენში, წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვასაც მცველი ყავდა დაყენებული ცენზორის სახით, ამიტომ ცოტა ქაღალდი იხარჯებოდა.

რევოლიუციისა და საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ მდგომარეობა გამოიცვალა. ყველაფრის ბეჭდვა თავისუფლათ შეიძლებოდა, აგრეთვე ფულისაც. და რადგანაც ამ უკანასკნელის ბეჭდვა უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე პირველების, ამიტომ მენშევიკური მთავრობაც, როგორც რეალური პოლიტიკის მოიბრე, შეუდგა ენერგიულათ ფულის ბეჭდვას.

მენშევიკების მოვლინებისა და ბალშევიკების მოვლინების შემდეგ ეს მდგომარეობა არ შეცვლილა. ამნაირათ იმდენი დაიბეჭდა ქაღალდის ფულები, რომ როდესაც რევკომმა ქაღალდის დიქტატორათ ვინო ბოლქვაძე დანიშნა, ამ უკანასკნელმა აღმოაჩინა, რომ ჩვენში დარჩენილა მხოლოდ რამდენიმე რგოლი სუფთა ქაღალდისა, რომელზედაც ფულის ბეჭდვა არ შეიძლება.

ეს არის მიზეზი იმისა, რომ ამ ბოლო დროს ფულის ფასმა ცოტა აიწია და საქონლისამ დაიწია.

* * *

ეს ორი გამოკვლევა რომ დავამთავრე ცოტა სინდისის ქეჯნა ვიგრძენ შაბათობაზე წასულების მიმართ. ვიცოდი რომ ამ დროს ისინი ვაგონების პარკში ოფიციანტად იწურებოდნენ, მე კი არხეინათ ვიჯექი საწერ მაგიდასთან სავარძელში და არავითარ მოქანცულობას არ ვგრძნობდი.

ამიტომ სინდისის გასაწმენდათ შეუდექი შემდეგი გარემოების გამორკვევას: თუ რათ ხდება, რომ ერთ დროს დიდი შრომით და ხარჯებით აშენებულ სახლს ქალაქის საუკეთესო ნაწილში წაეკიდება ცეცხლი ერთ წუთში და გადიბუგება.

მართალი უნდა გითხრათ, ამის კვლევა-ძიებაში კი დამასხა სიმწრის ოფლმა, მაგრამ საქმე მაინც ბოლომდი მივიყვანე და ამოვხსენი გამოცანა.

ამისთვის საჭირო ყოფილა მხოლოთ ის, რომ სახლში იყოს რაიმე საწყობი, ამ საწყობიდან ვინძემ რამე იმასქნას და კვალის წასაშლელათ სპიჩკა გაუქნიოს. ეს სულ ადვილი საქმეა. ძნელია მხოლოთ პაჟარის შემდეგ ამ დამწვარი სახლის არემარეზე მიყრილ მოყრილი ხორაგეულობის ალაგება და ქუჩის გასუფთავება...

ამ საინტერესო გამოკვლევების დამთავრების შემდეგ საღერღელი ამეშალა სხვა მრავალ საკითხების გადასაჭრელათ, მაგრამ ვიცოდი, რომ ამ დროს რკინის გზის პარკში შაბათობა უკვე გათავებული იქნებოდა, ამიტომ მეც არ მოვინდომე სოლიდარობის დარღვევა და ხელი ავიღე შრომაზე მომავალ შაბათობამდე.

ს. თ—ია.

გორჯომის წყალი.

კურორტი ბორჯომი, სამკურნალო წყლებით საუცხოვო ტყეებით და მდებარეობით, სილამაზით, არის ერთერთი უძვირფასესი სიმდიდრე საქართველოს რესპუბლიკის. მარტო ეკატერინეს წყაროს, რომლის წყალი თავისი ქიმიური შემადგენლობით, სავებით ისეთივეა, როგორიც საფრანგეთის ცნობილი ვიში (გრად გრილი) და გაცილებით უკეთესია და უფრო მაღლა დგას, ვინემ მეორე წყაროკონტრეკსელინისა, შეეძლო ბორჯომისათვის მოეხვიჭა მსოფლიო სახელი სხვა კურორტებთან ერთად. უკანასკნელ წლებში ძენშევიკების საქართველოში დაუდევარი პატრონობის დროს, წყლის მიღება მინიმუმამდე დავიდა, რასაც რასაკვირველია ხელი შეუწყო ბორჯომის წყლების საექსპლოატაციოთ მიცემამ მონოპოლიად ქებ ძესთვის, რომელმაც სრულიად გააერანა მთელი საქმე და მიიყვანა იგი სრულ დაქვეითებამდე. წყლის იმპორტი, რომელიც 1914 წ. 11 მილიონ ბოთლს უდრიდა წელიწადში, უმნიშვნელო რიცხვამდე დაეცა. წყალი, რომელსაც კარგად იცნობდა, სვამდა, ძლიერ აფასებდა ევროპა. სპარსეთი, ოსმალეთი, ეგვიპტე, არას ვიტყვით ევროპის რუსეთზე, დღეს გახდა ხშირად მოუწდომლად საქართველოს და კავკასიის ავადმყოფთათვის. ქებაძის ბატონობის დროს, წყალი გასაყიდათ გამოჰქონდათ ხშირად დაუწმენდელი.

ეკატერინეს დაევგენის წყაროს გარდა 30,2 გრადუსი და 22,6 პროცენტი მქონე ტემპერატურისა, უწინ აკეთებდნენ მარილის გასაყიდათ და სამკურნალოებებს. მაგრამ ამ წარმოებას ყოველთვის ჰქონდა მარტივი ხასიათი და ადგილობრივ საჭმარად ღა იყო. მენშევიკების, ხომერიკის, ქებაძეების და კომპ. ბატონობამ საერთოთ გადაშალა თვალისწინ და არა მარტო ბორჯომში, დამახასიათებელი სურათი უწესრიგობის, უთავობის და ამავე დროს მტაცებელი ყაჩღური სურვილი საქმის წაყვანისა. საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარებიდან და მუშათა საკითხის მოწესრიგებიდან სრული იმედ ა იმისა, რომ ბორჯომის მინერალური წყლის ექსპლოატაცია, საერთოდ როგორც მთელი კურორტის, დაყენებულ იქნება მტკიცე საფუძველზე. სახალხო განათლების დ მიწად მოქმედობის კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს აუწყეს ახლახან, რომ არამც და არამც არ შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბორჯომის წყაროები საექსპლოატაციოთ გადაეცეს რომელიმე ადგილობრივ მონოპოლიანტს ჯერ გადაწყვეტილია ამ ექსპლოატაციის საქმე აწარმოოს ოჯახური წესით. შუშის ქარხანა სრულიად მოწყობილია და მუშაობს. გადასახმელიც ასეთ პირობებშია და ნორმალური სამუშაო დღეში და მომუშავე ხუშების ინტენსიური მუშაობის დროს შეიძლება 24 საათში 100,000 ბოთლის აკრება.

სულ ახლახან შემოვიდა წინადადება ერთი უცხოელი ფირმის, რომ მიეცეს მასნება აიღოს იჯარით ბორჯომის წყაროები და ბორჯომში დააყენოს კურორტის საქმე ევროპიულ ნიადაგზე.

თეატრი და ხელოვნება

მესამე ინტერნაციონალის კლუბში.

მესამე ინტერნაციონალის კლუბში განზრახულია გამართონ მეცნიერულ-საგანმანათლებლო კონცერტი. მისი მოწყობა აღო თავის თავზე წითელი ლაშქრის პოლიტგაწყოფილებამ. კონცერტების მოწყობა განზრახულია არა მარტო კლუბში, არამედ ჯარის თვითეულ ნაწილებშიაც. პირველ კონცერტებში შევა რუსი და უცხოელ კლასიკების ნაწარმოებნი. შემდეგში კი ქართულ რუსული სახალხო სიმღერები. თითეული კონცერტის გამართვის დროს წაკითხულ იქნება ლექცია.

——

საბავშო მოედანი.

მუშათა ცენტრ. კლუბთან შაბათს, ივლისის 2 დან გახსნილია ბავშვთა მოედანი. მეცადინეობა საღ. 4—6 ნახ. საათამდე, ყოველ ორშაბათობით. მიიღებენ 4—1 წლიდან ბავშვებს.

——

სახალხო სახელმწიფო ოპერა.

სამშაბათიდან, ივლისის 12-დან ქართულ კლუბის საზაფხულო თეატრში გაიხსნება სახალხო სახელმწიფო ოპერა. პირველათაა „რიგოლეტო".

——

მუშათა ცენტრ. კლუბში.

კვირას, ივნისის 26, მუშათა ცენტრ. კლუბის ბაღში და თეატრში, კლუბის წევრთა მუშებისათვის გაიმართა საბავშვო დილა. სულ მოგროვდა 1000 მეტი ბავშვი. მათთვის მოაწყეს სხვა და სხვა გვარი გასართობი სათამაშოები, გიმნასტიური ვარჯიშობა, კონცერტი და სხვა. საღამოს. კი კლუბის წევრთათვის გამართა სიმფონიური კონცერტი. ა. ჩაგუნავას დირიჟორობით. შესრულებულ იქმნა რიმსკი კორსაკოვის სიმღერები.

პარტიული ცხოვრება.

ცეკასთან არსებულ ცენტრალურ პარტშკოლის ამხ. კურსანტების მორიგი საერთო კრება.

1921 წლის 28 ივნისს 3 საათზედ გაიხსნა ზემოხსენებულ შკოლის აუდიტორიაში ამ. კურსანტების საერთო მორიგი კრება.

კრებას დაესწრო 87 კურსანტი და ხელმძღვანელი ამხანაგები.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. აფთონ კალანდაძე, მდივნათ ალექსანდრე ჭანკაშვილი.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1. კომიაჩეიკის დაარსება და ბიუროს არჩევა. 2. ქალთა ორგანიზატორის არჩევა და 3. შაბათობის მომწყობი ორგანიზატორის არჩევა.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგი მახარაძემ, რომელმაც ფართოდ გააშუქა აუცილებელი საჭიროება კომიაჩეიკის დაარსებისა და მისი მიზან-დანიშნულება.

მოხსენების შემდეგ კრება გადადის არჩევნებზე. ბიუროში არჩეულ იქნა ხუთი ამხანაგები: 1. გიორგი მახარაძე, 2. აფთონ კალანდაძე, 3. ხარაბაძე, 4. ანდრეევისა და 5 ვასო ბუღდიაშვილი.

ქალთა ორგანიზატორათ არჩეულ იქნა ბიუროს წევრი ანდრეევისა, რომელიც დაეგალა იქონიოს კავშირი ცეკასთან არსებულ ქალთა განყოფილებასთან.

მესამე კითხვის, შაბათობის მოწყობის შესახებ, რომელიც უკვე მიღებული იყო გასულ კრებაზე, მომწყობათ არჩეულ იქნა ამხ. სერგო ბოჭორიშვილი.

კრება დაიხურა საღამოს 7 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

თავმჯდომარე **კალანდაძე.**
მდივანი **ჭანკაშვილი.**

წარმოებითი პროფკავშირებში.

მელითონელთა პროფკავშირში.

მელითონელთა წარმოებით კავშირის გამგეობის სხდომაზე ხოისმინეს მოხსენება კავშირის კულტურულ განმანათლებელ მოქმედებაზე. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კულტურულ განმანათლებელი განყოფილება იღებს ყველა ზომებს მოკლევადიან კურსების მოსაწყობათ დახელოვნებულ მუშების მოსაბზადებლად იმ ვარაუდით, რომ შემოდგომისთვის შეძლებოდეს გამოშვება სრულიად მომზადებულ დახელოვნებულ მუშებისა და ამით შეასუსტონ კრიზისი ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის ყველა დარგებში. რაც შეეხება წერა კითხვას უცოდინარობას ლიკვიდაციას და სხვას, აქ კულტურული განყოფილების მუშაობა დაბრკოლებულია: წერა კითხვის სკოლაში არავინ დადის, თეატრის ბილეთები ურიგდება მუშებს, მაგრამ თეატრებში მუშებს მაინც ვერა ჰნახავ და სხვ...ყერძოთ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აქამდე ვერ მოხერხდა შეძენა კინემატოგრაფიული აპარატი კლუბისათვის არსენალში. გამგეობამ დაადგინა მოხსენება ცნობათ მიიღოს, ეცადოს შეიძინოს აპარატი, მიიღოს ამისათვის ყოველი საჭირო ღონისძიება, რეკვიზიციაც კი, თუ ეს შესაძლებელი იქნება.

ქიმიკოსთა კავშირში.

გამგეობის სხდომაზე—23 ივნისს მოისმინეს მოხსენება ქიმიკურ წარმოების, წვრილ წარმოებისა და წვრილ მრეწველობის შესახებ. მომხსენებელმა გაატარა აზრი იმ გაფანტულ მუშების შეერთების შესახებ, რომლებიც კავშირის წევრებათ არ არიან ჩარიცხულნი იმ აზრით, რომ ისინი კავშირში შემოვიდნენ. გამგეობამ დაადგინა მიენდოს ამხ. ტერ კოზაროვს და ჯაგინოვს გამოიკვლიონ ყველა წვრილი წარმოებანი.

მიწისა და ტყის კავშირში.

კავშირის გამგეობამ გამოჰყო თავის შემადგენლობიდან სამეული კონფერენციის მოსაწვევათ საქართველოს მასშტაბით, რომელშიაც შედიან: ამხ. ფანცხავა, რცხილაძე და ტრაინინი კონფერენცია უნდა მოიწვიონ არა უგვიანეს 1 აგვისტოსი.

მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ დაადგინეს: შეუთანხმდნენ პროფესიონალურ კავშირების ეკონომიურ განყოფილებას და მიწათ მოქმედების კომისარიატს და შეიმუშავონ მდგომარეობის გაუმჯობესობის გეგმა, სადაც კი შეიძლება გახსნიან კოოპერატივებს, რომლებიც მოამარაგებენ მუშებს ყველა საჭირო საგნებით იაფ ფასათ.

საბჭოთა მუშაკების კავშირში.

კავშირის პრეზიდიუმმა მიანდო ამხ. მოვსნეზონს, კავშირის ეკონომიურ განყოფილებასთან ერთად, განიხილოს ყველა მასალები შრომის დისციპლინის და აგრეთვე საანხანაგო დისციპლინარულ დებულებისა და შეუთანხმონ ეს იმ მასალებს, რომელიც ჩამოიტანეს საბჭოთა მუშაკების სრულიად რუსეთის კავშირიდან. კავშირის ეკონომიურ განყოფილებას მიანდეს მუშათა ერთიან კოოპერატივის ორგანიზაცია.

პროვინციაში

სოფ. წყემი (სამეგრელო).

ხსენებული თემი აბაშის რაიონის ერთ-ერთი თემითგანია, რომელიც შვიდი ვერსითაა დაშორებული სად. აბაშაზე.

როგორც კი გამოცხადდა საქართველოში საბჭოთა მთავრობა და მისი ძალა-უფლება, წყემის კომუნისტები მაშინვე შეუდგენ თემის გარდაქმნასა და ახალმართვა-გამგეობის გამტკიცებას. მართალია მათ დიდს უხერხულ მდგომარეობაში უხდებოდათ ძველების მიერ არევ-დარეულ საქმეების გაკეთება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მოკლე ხანში წყემის რევკომმა ბევრი რამის გაკეთება მოახერხა. რევკომმა გააკეთა თემში, რამოდენიმე ათეულ წლებით შეუკეთებელი გზები და ხიდეები, რითაც მიეცა მშრომელ ხალხს საშუალება ერთმანეთის დაახლოვებისა და ჭირ-ვარამის გაზიარებისა. აგრეთვე მუშაობაა გაჩაღებული თემის პირველ დაბალ-დაწყებითი სკოლის შენობის დამთავრებისათვის: თუმცა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ასაგებ მასალის უქონლობა. რევკომმა დიდი ყურადღება მიაქცია თემში დამშეულ პირთ, იმათ ვისაც არა აქვთ სარჩო და სიღარიბის გამო არც შეუძლიათ მისი შეძენა. ამ საქმისათვის მან აირჩია განსაკუთრებული სოციალ-უზრუნველყოფის კომისია და მიანდო დამშეულთა უზრუნველყოფა. ზემო ხსენებული კომისია დიდის ენერგიით მუშაობს ამ საქმის მოგვარებისათვის. მართალია თემი სიმინდის დიდ ნაკლებობას განიცდის, მაგრამ კომისიის წინდახედული და საქმიანი მუშაობით ეს დაბრკოლება თითქმის გადალახულია. რევკომთან აგრეთვე არსებობს თემის აგრარული კომისია, ამ კომისიის მუშაობის წყალობით დაუყონებლივ ჩამოერთვა მენშევიკების მიერ დატოვებული ზედმეტი მიწები მემაულეთ და დაურიგდა კანონიერ გზით, ნორმის მიხედვით უმწაწყლო მუშა პირთ. ასე რომ, დღეს წყემის თემში არ არის თითქმის ერთი მტკაველი მიწა დარჩენილი, რომ ის ვინმეზე დასამუშავებლად არ იყოს გადაცემული. ხსენებული კომისია აგრეთვე ეხმარება სიმინდის არ მქონე პირთ, თესლის მიცემით, ქვრივ-ობოლთა და ჯარში გაწვეულ წითელ არმიელების ოჯახებს მუშა ხელის დახმარებით მეტად სასარგებლოა შაბათობა სოფელში. თქვენ უნდა ნახოთ შაბათ დღეს ვინმე წითელ არმიელისა, ან და ვინმე ქვრივ ობოლთა ოჯახში მიმავალი, მხარზე თოხ გადებული, მუშა გლეხები. რომელიც პირდაპირ წარმოუდგენილი ოცნებაა სინამდვილეში განხორციელებული. აგრეთვე აქვე უნდა აღინიშნოს ადგილობრივი თემის მილიციის სამმართველოს ფხიზლად ყოფნა. დღე-დღეობით, თითქმის სრულიად მოისპო თემში ქურდ ბაცაცობა და ბოროტ - მოქმედება. ასე რომ წყემის თემის მცხოვრებნი სრული კმაყოფილნია თემის მმართველი წრეებისა. აგრეთვე აქ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდის სოფ. წყემში არ არსებობდა არავითარი კულტურული დაწესებულება, და არც არავინ ზრუნავდა მათზე. მაგრამ თემის ამ ნაკლს მიაქცია ჯეროვანი ყურადღება თემის რევკომის თავმჯდომარემ. ის მიხვდა, რომ განთავისუფლებულ გლეხებისათვის საჭირო იყო სცენა და სამკითხველო. მართლაც დიდი ენერგიის დახარჯვისა და ამხანაგების დახმარებით მოახერხა დრამატიული წრის დაარსება, რომელიც მისივე დიდი დახმარებით მუშაობს და აწყობს თითქმის ყოველ შაბათობით უფასო წარმოდგენებს, ხალხიც დიდი კმაყოფილია ამით და სიამოვნებით ეწერება ყოველ წარმოდგენას. აგრეთვე დაარსდა სამკითხველო, რომელსაც ყავს საკუთარი გამგეობა და სადაც მოდის ყოველგვარი ბროშიურები და გაზეთები. სამკითხველოს გამგეობას განზრახული აქვს თემის ყოველ უბნებში გახსნას სამკითხველოები.

თენგიზ ჯალაღანია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

კატეგორიის გარეშე სატარიფო განაკვეთის შესახებ.

დამატებად ამა 1921 წ. მაისის 13 ს თარიღისა 34 № რის დეკრეტისა მუშა-მოსამსახურეთა გასამრჯელოს სატარიფო განაკვეთის შესახებ, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყველა იაფეთ პირებს, რომელთაც აქვთ ტექნიკური, მეცნიერული, ადმინისტრატიული ან სხვა სპეციალი ცოდნა ანუ საორგანიზაციო გამოცდილება და რომელნიც თავიანთი ცოდნის მიხედვით შეიძლება გამოყოფილ იქნენ ცალკე ჯგუფად, გასარჯელო უნდა მიეცეთ კატეგორიის გარეშე სატარიფო განაკვეთით.

ასეთი სპეციალისტების უმაღლესი განაკვეთი 1921 წ ივნისის 1 დან იქნეს სამასი (300 000) მანეთი ას პროცენტიანი (100 პროც.) ზოლის მიხედვით, ისე კი, რომ სპეციალისტების სატარიფო ხარისხებად დაყოფა და დამტკიცება მოხდეს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან ერთად შემუშავებული განსაკუთრებული დებულების თანახმად.

2. თვითეული პერსონალური სატარიფო, განაკვეთი, რა სახითაც უნდა გადაისინჯოს ამ დადგენილების პირველი მუხლის თანახმად დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე

შრომის სახალხო კომის. **ლ. დუმბაძე.**
რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე**
1921 წ. ივლისის 2.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა.

ამა წლის მარტის 30 ს თარიღისა და 22 № რის ბრძანების დამატებად, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი აცხადებს შემდეგს:

ფულის ნიშნები რუსეთისა, აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებისა მიღება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე **თავისუფალი კურსით.**

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
ფინანსთა სახ. კომისარი **ა. ხვანიძე.**
რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე,**
1921 წ. ივლისის 5.
თფილისი—სასახლე.

ბრძანება

ქალაქის რევკომისა.

შეგვნეულია, რომ სახლის წიგნების წარმოება ვერ მიდის ნორმალურ წესით. ბევრი მცხოვრებთაგანი არაა შეტანილი წიგნებში, ბევრი არაა აგრეთვე გამოწერილი წიგნებიდან, რის გამო სამისამართო მაგიდა მოკლებულია მცხოვრებთა სწორ სტატისტიკას.

ამიტომ ვუბრძანებ:

1. სახლის კომიტეტებს (საცა კომიტეტი არ არსებობს, სახლის პატრონებს და მმართველებს), ხუთი დღის განმავლობაში მოახდინონ სრული აღწერა მცხოვრებთა და, ვინც შეტანილი არაა სახლის დავთარში, შეტანილ იქმნენ საერთო წესით. თბილისიდან წასულნი და უბნიდან უბანში გადასულნი კი უნდა იქმნენ გამოწერილნი.

2. ევალება მილიციას გაუწიოს სასტიკი კონტროლი სახლის კომიტეტებს, პატრონებს და მმართველებს.

3. დანაშაულენი სახლის კომიტეტები, პატრონები და მმართველები, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ეჭუმალებიან სახლის დავთარში შეტანას, მიცემულ იქნებიან რევოლიუციონურ ტრიბუნალში.

4 ევალება სახლის კომიტეტებს,—პატრონებს და მმართველებს მომავალშიაც თვალყური ადევნონ სახლის დავთრების სწორეთ წარმოებას, როგორც წამავლელ მომსვლელთა, აგრეთვე დაბადებულთა და გადაცვლილთა ცნობები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამისამართო მაგიდის უბნის განყოფილებას.

თბილ. ქალაქის რევკომის თავ.
მჯდომარის მაგიერ **ვარძიელი.**
ქალ. სტატისტიკურ განყოფილების
გამგე **ა. რუხაძე.**
საქმეთა მმართველის მოვ.
აღმასრულებ. **მახარაძე.**
6 ივლისი 1921 წ.

[illegible] კომიტეტი [illegible] ფულის [illegible] ივლისის [illegible], № 22.

— საქ. კომისარიატი [illegible] ბიუროს [illegible]—რუსთაველის [illegible] 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიუროს [illegible] ქ. 136, [illegible] „[illegible]" ტელ. 1—33

— მე-2-რე რაიონის ბიუროს [illegible] ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიუროს [illegible] ბარი, კაბეთის [illegible]. 5—58

— — მე-4-ნე რაიონის ბიუროს [illegible] ქ. 29 „მუშაობა [illegible]" [illegible] 7—[illegible]

— მე-5-�ე [illegible] ბიუროს [illegible] ქუჩა.

— საქ. [illegible] [illegible] [illegible] ცეკა—რუსთაველის [illegible] 22.

სარედაქციო კოლეგია.

თბილისის სახალხო განათლების განყოფილება

იწვევს სპეციალისტებს საბავშვო სახლების, ახალშენების, ბავშვთა ბაღების და მოედნების ორგანიზაციისათვის. საჭიროა აგრეთვე ექიმები, მხატვარ-ალმზრდელნი, პედაგოგები ზნეობრივ ნაკლიან ბავშვთათვის; გამოცდილი გამგენი მეურნეობისა ბავშვთა სახლებში, გამოცდილი გამგე სახელოსნოებისა, ბავშვთათვის ხელოსნობის შესასწავლათ (მეღაღეობისა, დურგლობისა და თერძობისა).

ძლიერ საჭიროა ხალხი, რომელთაც იციან საბავშვო საქმეები და აქვთ მიდრეკილება ამ პროფესიისადმი.

მისამართი: განოვის ქ № 3

სახელმწიფო ქალაქის დამზადებელ ექსპედიციის

ამით აცხადებს, რომ ამა ივლისის 11 დღის 12 საათისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბონების საბეჭდ ქალაქის ჩამონაჭრებისა, რომელიც გამოსადეგია ხელის ჩასაფენ გამოსახვევად.

მთავარ პოლიტიკურ განათლების მმართველობა

წინადადებას აძლევს ყველა თითბერის და სიმფონიური ორკესტრებზე დამკვრელთ გამოცხადნენ და აღნუსხონ სამმართველოში (ლორის მელიქოვის ქ. № 5) ერთი კვირის განმავლობაში. სამხედრო ნაწილებმა კეთილ ინებონ და გვაცნობონ სად და რანაირი ვრკესტრები აქვთ.

ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სააგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000 საქართველოს კომუნისტი ნტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4